პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წითელ-არმიელი

№ 12 ორშაბათი, 7 ნოემბერი 1921 წ. საქართველოს წითელ არმიის პოლიტგანყოფილების ორგანო. რედაქცია: [illegible]

ამხანაგებო! ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია უდიადესი აქტია, განმანთავისუფლებელი მშრომელთა ხანგრძლივ ისტორიულ მონობისაგან.

ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლის თავზე.

ოთხი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც რუსეთის ძლევამოსილმა მშრომელმა ხალხმა ხანგრძლივ საუკუნეთა მონობისგან თავი გაინთავისუფლა და ისტორიულ მოწინააღმდეგეთ მთელი თავისი სისასტიკით და მრისხანებით სასიკვდილო ლახვარი ასცა. სრულმა ოთხმა, მეფეებით და [illegible] აღვსილმა წლებმა განვლო, რაც მთელ მსოფლიოში გაისმა მქუხარე ხმა, რომ ბურჟუაზიას, თითქოს მუდამ [illegible] რუსეთის პროლეტარიატმა დაამსხვრია [illegible] და მთელი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება თავის დაკოჟრებულ ხელით ჩაიგდო და [illegible] ხანგრძლივ სათაყვანებელი, ღირსება წითელი, თავისუფლების, ძმობა-ერთობის, თანასწორობის მონაწყვეტელი.

ამ დიდმა აქტმა, ამ გიგანტიურმა სიმამაცემ ქვეყნიერების [illegible] შეარხია. აქამდე [illegible] ევროპა-ამერიკაში [illegible] ჩვეული. როგორც რუსეთისა, ისე ევროპა-აზია-ამერიკის [illegible] ერთმანეთ და [illegible]. [illegible] რომ ერთ [illegible], ისტორიისგან განწირულ [illegible] ბურჟუაზიამ არა [illegible], [illegible] თავდაცვის [illegible] არ დაუყოვნა.

დაიწყო ჩვეული საქმე. [illegible] სახელმწიფოთა შორის [illegible] ყვავილი ჩანჩქერი(?) [illegible].

საჭირო იყო ბურჟუაზიის მიერ [illegible] ამაო ასეთ(?) მოხდა. დიდკრა ბუკი და ნაღარა, მოხმობილ იქნა მთელი ევროპის [illegible], არამზადანი ქვეყნიერებისა. მაშ რაშია!? მაგრამ როგორ იყო, ამას ახსოვს კაცობრიობას, რომ ყოველ ამგვარ ომებში ბურჟუაზიას პირდაპირი მონაწილეობა მიეღოს? აქაც გაცვეთილი ხერხით მოინდომა ფეხის გასვლა, სხვისი ხელით ნარის კრეფა, სხვის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების დამყარება.

ყველამ კარგათ იცის, რომ თითქმის [illegible] სახელმწიფოებრივი ქონება კაპიტალისტის ხელში იყო და არის [illegible]. რა ომშიაც [illegible] კაპიტალი სიკვდილი ახლოვდებოდა და საჭირო იყო ხსნა. [illegible] გაულიმათ და [illegible]. იმპერიალისტური ომი გათავებული არ იყო [illegible] ანგარიში [illegible] და [illegible] თავისი [illegible] სხვა გზით და ხერხით გამარჯვების [illegible] რუსეთისაკენ შეუტიეს ვარსკვლავს სოციალურ რევოლუციას ჩასახშობად. ეს ხდებოდა რუსეთის გარეთ. რუსეთში კი სამოქალაქო ომი თვალუწვდენელ მინდორ ველით მიმდინარეობდა. ქვეყანა დანგრეული [illegible] და ახალი უფრო ცხარე [illegible] თავისი [illegible] მშვენიერებით [illegible]. ხალხის მტრები აქაც არ [illegible], ბრესტის ზავის [illegible] ჯერ არ სჩანდა, იმპერიალისტური გერმანია წინ მიიწევდა, თუ არა ბრესტი, რიგი დაავლებდა რუსეთის სამრეწველო ქალაქებისა [illegible]. [illegible] კერენსკი [illegible], [illegible] თავისი დიპლომატიური სიბეცით, და მთელი ბურჟუაზიული [illegible] სოციალ-გამყიდველთა დამარცხებით უკანასკნელ ცდას იძლევდა. საჭირო იყო სოციალისტური რევოლუციის საკუთარ სისხლში ჩახშობა. მაგრამ ამაოდ. რუსეთის სოციალურ რევოლუციის პიონერთა გონიერმა პოლიტიკამ და ახალგაზრდა, იმ ხანათ ჯერეთ გაუწვრთნელმა წითელმა ლაშქარმა იხსნა რევოლუცია მტარვალთაგან. თითქოს ამით დამთავრდა პირველი ეტაპი ბურჟუაზიის [illegible] მიეცა შეძლება რუსეთის მშრომელთ საკუთარი საქმის კეთებისა. მაგრამ შერხეულმა ევროპამ, შინაურმა ორგულებმა მოიტანეს კიდევ მრავალი რიგი [illegible] მთავრობაზე, კიდევ აყვედრდენ [illegible] მამულები, აღუდგინდენ სიკვდილის წინ [illegible], გაჩნდა კონტრ-რევოლუციონური, ჯალათური რკალი ერთის მხრით, კოლჩაკი მეორეს მხრით, დენიკინი მესამეს მხრით. იუდენიჩის შემდეგ პოლონეთი და მრავალნი მოციქულნი შავი კონტრ-რევოლუციისა.

ეს იმ დროს როდესაც რუსეთი საშინელ ეკონომიურ სივიწროვეს, საშინელ სიტიტვლეს განიცდიდა. შექმნილი პირობები ბურჟუაზიას ბევრ კარგ სიზმრებს უთხზავდა მით უმეტეს იმ დროს როდესაც იუდენიჩი ევროპისაკენ რუსეთის ფანჯარას პეტროგრადს იპყრობდა დენიკინ კოლჩაკი მთელი მისი [illegible] რევოლუციის ციტადელის მოსკოვის კარებს უკაკუნებდა. ესლა კი დარწმუნდა ბურჟუაზია, რომ რუსეთის რევოლუციის ფესვები არსებობისა ერთხელ და სამუდამოდ მოიღო და მისი [illegible] ისტორიის ორმოს ფსკერს ჩაბარდება. მაგრამ აქაც [illegible]. ჩვენ კლასობრივ მტრებს მარცხენა ფეხი მოსცდებათ და ყოველი [illegible] დამარცხებისა დაუყვარდა. რუსეთის მშრომელთა მიერ დამარცხებულ იქნენ მოციქულნი შავი რეაქციისა. ისევე მოუღელად სხვა შავ ძალებს მოელოდენ და სხვებს ვინც ლამობდა მშრომელთა წინააღმდეგ ხელის ამაღლებას ეს წარსულში. დღეს მეგობრობის [illegible] ეკონომიური ბლოკადა უკვე აღარ არსებობს. პირიქით რიგ ხელშეკრულებებს ეკონომიური ხასიათისა ხდება სხვადასხვა სახელმწიფოებთან. შინაური პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთის შედარებით ბევრათ უფრო მტკიცეა ვიდრე აქამდე. მართალია მძვინვარებს რიგ გუბერნიებში საშინელი ეკონომიური სივიწროვე მაგრამ ჩვენ გვჯერა, ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგ რუსეთის მაშვრალნი შესძლებენ მოსპონ გაჭირვების [illegible]. და ასე ოთხი წლის წინეთ [illegible] დაიწყო, [illegible] შეძლო რუსეთის პროლეტარიატის უმდიდრესი სოციალისტური რევოლუცია [illegible] სისხლის ღვარი [illegible], რომელმაც მთელი სოფელი [illegible] მშრომელი ხალხი [illegible] თავის მოსისხლე მტრის წინააღმდეგ და აქამდე ოცნება სოციალიზმი დღეს [illegible] დღეს. დღეს [illegible] მთელი ჩვენი არსებით რევოლუციონურ ენთუზიაზმით ვეგებებით და ვამბობთ გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციას!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტური შტაბს 3 ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს რუსეთის მუშურ-გლეხურ წითელ ლაშქარს რომელმაც [illegible]!

გაუმარჯოს საქართველოს წითელ ლაშქარს რომელიც [illegible] წლის [illegible] რევოლუციაში.

ნემოხელი.

25 ოქტომბერი.

კლასთა ბრძოლის ისტორიამ ბევრი რევოლუცია იცოდა, ბევრი მეტი აჯანყება და გადატრიალება მაგრამ 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის [illegible] და [illegible] რევოლუციებზე, როგორც [illegible] სხვა [illegible].

ოქტომბრის რევოლუციამ დაამარცხა ევროპის ყველა რევოლუციები და თვით საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ამის მიზეზი ვეძიოთ საერთაშორისო კაპიტალის უკიდურეს განვითარებაში, 4 წლის უმაგალითო ომებში და რუსეთის ბურჟუაზიის პოლიტიკურ უილაჯობაში.

საფრანგეთის დიდი რევოლუცია მე 18 საუკუნის დასასრულს გაიშალა, ოქტომბრის რევოლუცია კი მე-20 საუკუნეში. რამდენადაც დიდი მანძილი ყოფს ამ ორ საუკუნეს, იმდენად დიდი განსხვავებაა ამ ორ რევოლუციათა შორის.

საფრანგეთის დიდი რევოლუცია აღმოცენდა მე 18 საუკუნის ეკონომიურ ნიადაგზე, რომელსაც ახასიათებდა ფეოდალიზმი. პოლიტიკური წესწყობილება ლიუდოვიკ 16-ის აბსოლიუტიზმით განისაზღვრებოდა.

არსებულ წესწყობილებას ებრძოდენ გლეხები, პარიზის დემოკრატია, პარიზის წვრილი და საშუალო ბურჟუაზია და რევოლუციონური ინტელიგენცია. პროლეტარიატი, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, არ არსებობდა.

გლეხობა იბრძოდა მემამულეთა წინააღმდეგ, დემოკრატია პოლიტიკურ [illegible] თვითმპყრობელობის მოსპობით [illegible] და ვაჭრობის თავისუფლებას.

იმ ჯამად—რევოლუცია იყო ბურჟუაზიული და საბოლოო გამარჯვება მხოლოდ ბურჟუაზიას დარჩა. დროებით გაუქმებულ მეფის ტახტს, ისევ ახალი მემკვიდრე მოევლინა, ხოლო დემოკრატიის პოლიტიკური განთავისუფლება ქაღალდზედ დარჩა.

სრულიად სხვა პირობებში განვითარდა ოქტომბრის რევოლუცია. მას წინ უსწრებდა მარტის რევოლუცია, რომელმაც მოსპო მეფის თვითმპყრობელობა და ქვეყნის [illegible] ბურჟუაზიას გადასცა. იმპერია შეიცვალა ბურჟუაზიულ რესპუბლიკით. მთავრობამ მიიღო კოალიციის სახე მოქ. კერენსკის მეთაურობით და პროლეტარიატის ძალა-უფლება ბურჟუაზიის დაუმორჩილა [illegible] და პოლიტიკური თავისუფლება, მაგრამ კერძო საკუთრება, როგორც ქალაქში, ისე სოფელში ხელუხლებელი დარჩა.

ბურჟუაზიამ განიზრახა იმპერიალისტური ომის გაგრძელება და კლასობრივ ურთიერთობის ჩახშობა, რასაც [illegible] მოიერობა.

მაგრამ 8 თვის ერთი მართვა-გამგეობამ აშკარად დაამტკიცა მათი არსებობის მავნებლობა, მათი პოლიტიკური უმწეობა და რეაქციონერობა, პროლეტარიატი მალე მიხვდა, რომ რევოლუცია დამარცხებისაკენ მიექანებოდა და 25 ოქტომბერს, პეტერბურგისა და მოსკოვის ქუჩებზედ ისევ იმართა მრისხანე ბარიკადები.

დაიწყო და გაიმარჯვა სოციალური რევოლუცია, ბრძოლა ბურჟუაზიის პოლიტიკურ და ეკონომიურ ბატონობის მოსასპობად, ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისთვის.

გადამწყვეტი და სასტიკი უნდა ყოფილიყო ეს ბრძოლა.

არსებულ წესწყობილებას იცავდა ქალაქის ბურჟუაზია, ფეოდალური არისტოკრატია, სასულიერო წოდება და ინტელიგენციის დიდი ნაწილი.

მაგრამ პოლიტიკურად გაკოტრებული და სულიერად დაცემული ბურჟუაზია ბრძოლაში მალეღა დამარცხდა.

[illegible] ბრძოლის და გამარჯვებულმა პროლეტარიატმა ლენინის ხელმძღვანელობით ერთი [illegible] რუსეთი გამოაცხადა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

1917 წლის 25 ოქტომბრიდან რუსეთმა ახალი გზა არჩია და ეს გზაა კომუნიზმის თანდათანობითი განხორციელება.

საბჭოთა რესპუბლიკას განაგებს მხოლოდ პროლეტარიატი და ღარიბი გლეხკაცობა.

იგი იცავს ნაციის უმრავლესობის ინტერესს, რადგან რესპუბლიკის 80 პროცენტს მუშა და გლეხი შეადგენს.

ამ რიგათ აიხსნება ის [illegible], რომელსაც იჩენს დღეს ეკონომიურად განადგურებული ქვეყანა საერთო [illegible] რეაქციასთან ბრძოლაში.

[illegible] წლიწადი შესრულდა რაც საბჭოთა რესპუბლიკა არსებობს და ვერც შინაურმა კონტრრევოლუციებმა, ვერც ევროპის ბურჟუაზიის [illegible] და ეკონომიურმა ბლოკადამ ოდნავადაც ვერ შეასუსტეს რევოლუციონურ პროლეტარიატის ნების ყოფა.

ყოველ განსაცდელს ახალი გაკვეთილები მოაქვს რესპუბლიკის სასარგებლოდ, ყოველი ბრძოლა გამარჯვებით ბოლოვდება და დღეს, საბჭოთა რესპუბლიკის 4 წლის თავზე, ჩვენ შეგვიძლია თამამად და გულდამშვიდებით ვთქვათ: კომუნისტურმა რუსეთმა უკვე დაამტკიცა პოლიტიკური სიმწიფე. ხმლით [illegible] გარეშე თუ შინაური და [illegible] მთელი თავისი [illegible] ეკონომიურად [illegible].

ამნაირად, ცხადია, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია საფრანგეთის დიდი რევოლუციის რადიკალური წინააღმდეგობაა.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიზანი იყო ბურჟუაზიული დემოკრატიის განთავისუფლება.

მან დასცა მეფის ტახტი, რომ მთელი ძალაუფლება ბურჟუაზიისთვის გადაეცა.

ოქტომბრის რევოლუცია კი ებრძვის მარტის გადატრიალების შემდეგ განახლებულ ბურჟუაზიულ დემოკრატიას პროლეტარიატის დიქტატურისთვის.

პირველი რევოლუცია იცავს კერძო საკუთრებას, მეორე კი სპობს.

აქ საერთო თითქმის არაფერია. მაგრამ არის ერთი უტყუარი მსგავსება ამ ორ დიდ რევოლუციათა შორის.

საფრანგეთის დიდი რევოლუცია [illegible] მთელ მონარქიულ ევროპას და არა ერთი ტახტი შეარყია. არ დარჩა სახელმწიფო, რომ საფრანგეთის რევოლუციის [illegible] არ განეცადოს.

ეს თვისება აქვს ოქტომბრის რევოლუციასაც. მისი გავლენა იგრძნო გერმანიამ, ავსტრიამ, უნგრეთმა, იტალიამ, ინგლისმა. ამერიკაც და საფრანგეთიც ვერ გადურჩა კომუნიზმის გავლენას, რაც [illegible] ოქტომბრის რევოლუცია [illegible]. მას ვერ შეძლეს დაეცვა ვერც [illegible], ვერც [illegible] და ვერც სახელმწიფოთა შორის შექმნილ საზღვრები.

მე 20 საუკუნე სოციალურ რევოლუციების ხანად იქცევა.

4 წლიწადი შესრულდა რაც მსოფლიოს ერთი მეექვსედი სოციალიზმით [illegible].

ჩვენ უნდა ვიცოდეთ თუ რაში გამოიხატა რუსეთის კომუნიზმის ძლევა-მოსილება.

როგორც მოსალოდნელი იყო პროლეტარიატის პირველი ლახვარი ბურჟუაზიას მოხვდა.

კომუნიზმა [illegible] და სამუდამოდ მოსპო მისი ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობა.

ფაბრიკა-ქარხნების და ვაჭრობის ნაციონალიზაციის განსაზოგადოებრივების შემდეგ ბურჟუაზია როგორც კლასი რუსეთში არ არსებობს.

და თუ არსებობს მისი დღეები დათვლილია, წინავე კერძო საკუთრების მოსპობით კომუნისტურმა რუსეთმა ანდერძი აუგო ფეოდალურ წესწყობილებას.

მუშათა კლასის ინტერესები სავსებით დაცულია.

ოქტომბრის რევოლუციამ დააკანონა 8 საათის სამუშაო დღე და კვირაში კი საათით დასვენება, მცირე წლოვანთათვის 6 საათის სამუშაო დღე, ერთი წლის შრომის შემდეგ ერთი თვის შვებულება ჯამაგირის შენახვით; უმუშევართა, ავადმყოფთა, ინვალიდთა და მოხუცებულების უზრუნველყოფა.—

მუშის ხელფასის განსაზღვრა დამოკიდებულია თვით მუშათა მიერ არჩეულ საქარხნო კომიტეტებისაგან...

რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ გლეხებს?

უპირველეს ყოვლისა გლეხებს ხელში გადაეცა მთელი მიწა [illegible] უსასყიდლოთ.

ოქტომბრის რევოლუციამ უარყო იმპერიალისტური ომი, რომელიც ყველაზე მეტი სიმძიმით გლეხებს აწვებოდა.

ამ 4 წლის განმავლობაში ბევრი გაკეთდა გლეხთა განათლებისთვის.

სოფლებში არსდება სკოლები, ბიბლიოთეკები—სამკითხველოები.

პეტროგრადში გაიხსნა პირველი სახალხო უნივერსიტეტი.

განათლების მიღება აუცილებელი, საერთო და უფასოა.

რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ჩვენი თვალის წინ შენდება, იზრდება და მტკიცდება დღითი დღე. კიდევ ბევრი შემოქმედებაა საჭირო, კიდევ დიდ ენერგიას მოითხოვს აღმშენებლობითი საქმე. ვინ იცის თუ რამდენ სასწაულს აჩვენებდა კაცობრიობას შრომის ექსპლოატაციისგან განთავისუფლებული პროლეტარიატი რომ უზომო ენერგია დახარჯულიყოს ევროპის მტაცებელთა მოგერიებაში.

რუსეთის სოციალისტური რევოლუცია უდიდესი ფაქტია კაცობრიობის ისტორიაში. ასეთი მასშტაბით წინსვლა ჯერ არავის ახსოვს. შრომის [illegible] გამარჯვება უმაგალითოა. ბევრი მტერი და ორგული გაუჩნდა პროლეტარულ კულტურას. ეს ასე უნდა ყოფილიყო. ძნელია ყველა იმ პრივილეგიების დათმობა, რომელიც ასულდგმულებდა კერძო საკუთრებაზე აგებულ ბურჟუაზიულ კულტურას. მაგრამ ისტორიის აუცილებლობის წინ ვერაფერი დადგება. ოქტომბრის რევოლუცია გადალახავს რუსეთის საზღვრებს და საერთაშორისო რევოლუციად იქცევა. ოთხი წლის სინამდვილე ამის თავდებია.

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო! ოქტომბრის რევოლიუცია საუკეთესო თავმდებია კაცობრიობის იდეალის სოციალიზმის ბრწყინვალე გამარჯვებისა.

1917—ოქტომბერი—1921.

მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა მთელი კაპიტალისტური სამყარო ეკონომიურათ დაარღვია, დაანგრია და სიკვდილის კარს მიიყვანა. რუსეთი, როგორც ეკონომიურათ ჩამორჩენილი ქვეყანა, ცხადია ამ საშინელ ომობრიობას ვერ გაუძლებდა და მან ყველაზე პირველად განიცადა ეკონომიური კრახი.

ეკონომიკა არის საფუძველი ყოველი სახელმწიფოს არსებობისა და ამისათვის მის მოშლამ რუსეთში გამოიწვია თებერვლის რევოლიუცია.

რევოლიუციის სათავეში მოექცნენ მენშევიკ-ესერები, რომელნიც თავიანთი პოლიტიკით არა თუ აუმჯობესებდნენ მუშათა და მშრომელ გლეხთა ეკონომიურსა და პოლიტიკურ მდგომარეობას, არამედ ამოუდგნენ გვერდში მემამულეებსა და კაპიტალისტებს და აკეთებდნენ ბურჟუაზიის საქმეს. მათი რვა თვის ბატონობის დროს არც გლეხს მიუცია მიწა (თუ მოითხოვდა, ან ძალით დაამუშავებდა ციხეებში აგზავნიდნენ), არც მუშას მიეცა საშუალება თავისი შრომის ნაყოფის განმკარგულებელი თვითონვე ყოფილიყო და დაუმატეთ ამას ისიც, რომ ამ მენშევიკ-ესერების მიერ მუშები და გლეხები რუსეთის ბურჟუაზიის ინტერესების დასაცავად, გაყვანილი იყვნენ ფრონტზე გერმანიის იმპერიალიზმთან საბრძოლველათ. მთელი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობა ისევ ბურჟუაზიის ხელში დარჩა.

ასეთ მდგომარეობას რუსეთის მუშათა კლასი ვერ შეურიგდებოდა და ადრე იქნებოდა თუ გვიან მთელი თავისი რისხვით თავს დაეცემოდა როგორც მის კლასიურ მტერს—მემამულე-კაპიტალისტებს, ისე სოციალ-გამყიდველებს, ბურჟუაზიის ყურ მოჭრილ მონებს, მენშევიკებს და ესერებს.

დადგა მათი აღსასრულის დღე.

25 ოქტომბერს (7 ნოემბერს ახ. სტ.) რუსეთის პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ თავ-გამოდებული ბრძოლა დაიწყო თავის უფლებებისათვის. ჩამოაგდო ბურჟუაზიული მთავრობა და ძალა-უფლება საბჭოებს გადასცა. ბურჟუაზია ცხადია თავის ბატონობას ადვილათ არ დაუთმობდა და მის მიერ აქამდე სიბნელეში მყოფი გლეხობა-ყაზახები გამოიყენა პროლეტარიატის საწინააღმდეგოთ.

პროლეტარიატის ძალა-უფლების ხელში აღებისთანავე ბურჟუაზიამ შესძლო აქა-იქ თავისი მომხრე ჯარების შექმნა და აჯანყებების მოწყობა. დონზე გაბატონდა ალექსეევ-კორნილოვები, უკრაინაში რევოლიუციის მოღალატე პეტლიურა, ურალზე დუტოვი და ირკუცკში მოეწყო კონტრ-რევოლიუციონურ იუნკრების აჯანყება.

ჯერ კიდევ მებრძოლთა მტკიცე რიგები არ ჰქონდა შექმნილი პროლეტარიატს და ასე ბლომად გაჩნდა ფრონტები, რომელნიც შთანთქავას უპირებდა. განსაკუთრებით მუშებისა და მოხალისეთა შეწევნით ყველა ფრონტები მოხსნილი იქნა.

ამის შემდეგ გერმანიის იმპერიალიზმს სურდა მთელი ქვეყნის უკრაინის აღება და ჯერ კიდევ სუსტ საბჭოთა ძალა-უფლებას აიძულა საშინელი ზავის პირობები მიეღო ,,ბრესტის'' ზავის სახით.

სამი წლის ომში დაქანცული ჯარის-კაცები დასვენებას მოითხოვდნენ და როგორც მეომარი ძალა არაფერს არ წარმოადგენდნენ. საბჭოთა მთავრობამ მოახდინა დემობილიზაცია და ამავე დროს მუშებისაგან შექმნა წითელი გვარდია.

1918 წლის გაზაფხული საშინელი კრიტიკული შეიქნა საბჭოთა მთავრობისათვის. ჯერ კიდევ არ ყავდით წითელი გვარდიელთა საკმარისი რიცხვი, რომ გაუჩნდა უამრავი ფრონტები. უკრაინაში გერმანელებმა გეტმანი სკოროპადსკი დააჯინეს; აღმოსავლეთში საფრანგეთ-ინგლისელ მტაცებელთა მიერ მოწყობილი იქნა ჩეხო-სლოვაკთა აჯანყება; ჩრდილოეთით არხანგელსკში ინგლისელთა დესანტი, თეთრგვარდიელთა დახმარებით ემუქრებოდნენ ვოლოგდასა და მოსკოვს; დუტოვმა ააჯანყა ურალის ყაზახები; დონზე კრასნოვმა დაიკავა მთელი დონი, ციმბირში თეთრგვარდიელებმა აიღეს ციმბირი, შეუერთდნენ ჩეხო-სლოვაკებს და აიღეს ურალის დედა-ქალაქი ეკატერინბურგი; ვოლგის მიდამოების აჯანყებულ ჩეხებმა აიღეს სამარა, სიმბირსკი, ყაზანი და მიადგნენ ნიჟნი-ნოვგოროდს; ამავ დროს შიგნით კულაკი გლეხები და თეთრგვარდიელები ტერორმანობდნენ და აწყობდნენ გამოსვლებს პროლეტარიატის ძალა-უფლების წინააღმდეგ.

ველიკოროსიის 25 გუბერნიის გარდა ყველა კონტრ-რევოლიუციონერთა ხელში იყო. ასე, რომ პროლეტარიატს არ ჰქონდა პურის რაიონი, დონის ნახშირი, ბაქოს ნავთი, სამხრეთისა და ურალის რკინა, თურქესტანის ბამბა და მვა.

ამ საშინელ კრიტიკულ მდგომარეობაში საბჭოთა მთავრობამ მოახდინა პირველი მობილიზაცია წითელი გვარდიის შესავსებათ, რაც ბრწყინვალეთ ჩატარდა. ნელ-ნელ შეუდგნენ შეტევას გაფართოებას და ყველა ფრონტებზე გმირულად გაიმარჯვეს.

საბჭოთა მთავრობამ, ფრონტების თითქმის ლიკვიდაციის შემდეგ, შეუდგა სათბობი და ნედლი მასალის მოგვარებას, რომ წარმოება აემუშავებინა. შეუდგა შემოქმედებით მუშაობას, მაგრამ დიდხანს არ დასცალდა.

1919 წლის გაზაფხულზე კიდევ გაუჩნდა ახალი სამხედრო ფრონტები. კოლჩაკი ციმბირში პეტროგრადისაკენ—ბულახოვიჩი და ფინეთის თეთრგვარდიელები, დონზე კრასნოვი სულ დამარცხებული არ იყო და მისი ადგილი დენიკინმა დაიჭირა, ამათ მიემატა კიდევ იუდენიჩი.

მართალია, ამ დროს წითელი არმია უკვე საგრძნობ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ ჩვენი ჩამოთვლილი ფრონტები მოწყობილი და გამაგრებული იყო საფრანგეთ-ინგლისის გამოცდილ სამხედრო ინსტრუქტორების და ხელმძღვანელების მიერ. ცხადია, აქ უსწორო ბრძოლა იყო.

ერთის მხრივ გამოუცდელ პროლეტარიატსა და მეორეს მხრივ მშრომელთა სისხლის მსმელ ომებში გამოწრთვნილ ბურჟუაზიის შორის.

სიმართლე პროლეტარიატის მხარეზე იყო და მშრომელ გლეხობის დახმარებით ძლიერი მტრები სრულიად განადგურებულ იქნა.

ამით კიდევ არ დასრულდა სამოქალაქო ომი რუსეთში.

1920 წ. გაზაფხულზე ვრანგელმა ყირიმიდან, ბალახოვიჩმა და პოლონეთის ბანდებმა დასავლეთიდან შეტევა დაიწყეს უკრაინაზე. ეს საფრანგეთის ბურჟუაზიის მოწყობილი იყო. საბჭოთა მთავრობამ პოლონეთის პანებს ხელსაყრელი პირობები ზავისა წარუდგინა, მაგრამ უარი სთქვეს. მაშინ გადავიდა წითელი არმია პოლონეთზე და ვარშავამდის დაედევნა პანების ჯარს. პოლონეთმა საფრანგეთის სამხედრო შტაბის და აურაცხელი სამხედრო ქონებისა და სურსათის მიღების საშუალებით შეძლო არმიის დახსნა.

ზავი შეკრული პირველ შეძლებისთანავე, რადგან მუშის მთავრობა მეტად უფრთხილდება ყოველი მშრომელის სიცოცხლეს.

ვრანგელი დაამარცხა და მას შემდეგ ევროპის ბურჟუაზია დარწმუნდა, რომ სამხედრო საშუალებით რუსეთის პროლეტარიატის დიქტატურის დამარცხება ფუჭი ოცნებაა.

ახლა შეუდგა მშვიდობიანი განწყობილება იქონიოს და ეკონომიურ ფრონტზე ბრძოლით სურს თავისი მიზანი შეასრულოს.

რუსეთის მუშათა კლასი, პირველი ჩადგა კაპიტალიზმის დასამხობათ დარაზმულ მებრძოლთა წინა რიგებში და პირველად გამოაცხადა, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური დიქტატურა პროლეტარიატისა.

მეტად დიდი ბრძოლისა და გაჭირვების გადატანა დასჭირდა რუსეთის პროლეტარიატს, რომ მისი ძალა-უფლება შეენარჩუნებინა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, საშინელ პირობებში უხდებოდა მას შემოქმედებითი მუშაობის წარმოება.

ოთხი წლის სამოქალაქო ომის დროს, როდესაც სამრეწველო ცენტრები ხელიდან-ხელში გადადიოდა, მოწინააღმდეგენი [illegible] სწვავდნენ და ანგრევდნენ, რომ ამით საბჭოთა ძალა-უფლებისათვის ეკონომიური საფუძველი სრულიად გამოეცალათ, რის უმისოთაც არც ერთი ძალა-უფლების არსებობა არ შეუძლია. ტრანსპორტი სრულიად მოიშალა სათბობი მასალის უქონლობის გამო. წყლის ტრანსპორტის მესამედით სარგებლობდა მუშათა ხელის-უფლება, დანარჩენი ნაწილი თეთრგვარდიელებმა წაიყვანეს და ნაწილიც დასწვეს და ზღვაში დაღუპეს.

დაზიანებულ ორთქლმავალთა და ვაგონების შეკეთება სუსტათ მიდიოდა, განსაკუთრებით ორი-სამი წლის განმავლობაში, რადგან საუკეთესო მუშები ფრონტზე იყვნენ და ამას გარდა, რაც უმთავრესია, ლითონის მადაროები უფრო მეტათ თეთრგვარდიელთა ხელში იყო.

სათბობი და ნედლი მასალა, რაც უმთავრესია წარმოებისათვის, უფრო ნაწილად საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში არ იყო. დროგამოშვებით, როდესაც პროლეტარიატი ფრონტებზე იმარჯვებდა, საშუალება ეძლეოდა სამრეწველო ცენტრებში მიეზიდა წარმოებისათვის საჭირო მასალები, მაგრამ საერთოდ შემოქმედებითი მუშაობისათვის, ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, შინაური და საერთაშორისო ბურჟუაზია საშუალებას არ აძლევდა და ამით იძულებულ ჰყოფდა ნაჭერი გადაეგდო თავისათვის მოეკიდებინა ხელი.

აი ასეთ პირობებში უხდებოდა რუსეთის პროლეტარიატს მშრომელთა სახელმწიფოს შენება.

უპირველეს ყოვლისა, რუსეთის პროლეტარიატის მიერ დამსხვრეულ იქნა კაპიტალისტური სახელმწიფოებრივი აპარატი სრულიად და მის ნანგრევებზე აიშენა საბჭოთა ორგანიზაციები და დაწესებულებანი.

მეორე ნაბიჯი მის მიერ იყო საწარმოო იარაღებზე კერძო საკუთრების მოსპობა, მემამულეთა მიწების ჩამორთმევა, კაპიტალისტებისაგან ჩამორთმეული ბანკების, ფაბრიკების ქარხნების, მადაროების და სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაცია.

მესამე—მთლიანი სახალხო მეურნეობის შექმნა: საბჭოთა მეურნეობის ორგანიზაციის შექმნა სოფლად, წარმოებაში სახელმწიფოებრივი ტრესტების და საერთოდ დაქსაქსულ წარმოებათა შეერთება საბჭოთა მმართველობის ქვეშ.

მეოთხე—წარმოების ნაყოფის სახელმწიფოებრივი გამანაწილებელი ორგანიზაციის შექმნა.

ორი წლის განმავლობაში ნაციონალიზაცია უყო: 1) 4 ათას წარმოებას, 2) 16 ათას სავაჭრო გემებსა და ნავებს, 3) მემამულეთა და კერძო მესაკუთრეთა 60 მილ. დესეტინებს და 4) ყველა ბანკებს ყველა ქალაქებში. რასაკვირველია ამაზე მეტი რიცხვი იყო ფაქტიურათ ჩამორთმეული პირველ ორ წელიწადში, მაგრამ დაახლოვებითი სტატისტიკა ამას ამბობს.

მოწყობილი იყო: 1) საბჭოთა მეურნეობანი 2398, 2) სასოფლო-სამეურნეო კომუნები და არტელები 3961, 3) სახელმწიფოებრივი ტრესტები 90, 4) საქარხნო სამმართველოები 4000, 5) სახელმწიფოებრივი ნედლი მასალის დამამზადებელი აპარატები და სხვა. ეს მოხდა მხოლოდ პირველ ორ წელს.

მიუხედავათ ამისა, რომ პროლეტარულ ხელისუფლებას უხდებოდა მთელი გულისყურის საომარ ფრონტისაკენ მიპყრობა, მაინც [illegible] წარმოებით მუშაობას. მაგალითად 1919 წ. მის მიერ იქნებოდა: 1) მატერიები ყოველთვიურათ—14 მილ. არშინი, მომარაგებული კი ჰქონდა დაახლოვებით 1 მილიარდი არშინი, 2) შაქარი—1918—19 წ.—საბჭოთა რუსეთში 4 მილ. ფუთი, უკრაინაში—10 მილ. ფუთი; 3) საპონი თვეში 25 ათასი ფუთი; 4) მარილი 10 მილიონ ფუთამდე იყო და სხვა.

განსაკუთრებით 1920 წლიდან მდგომარეობა უფრო გაუმჯობესდა. შესაძლებელი შეიქნა სათბობი მასალისა და ლითონის მოგროვება. შეუდგნენ ტრანსპორტის აღდგენას.

1919 წელს ვოლგა-ბალტიის რაიონით გაზიდულ იქნა 265 მილ. ფუთი საქონლისა, 1920 წ. სეკტემბრამდის კი გადაგზავნილი 365 მილ. ფ. და მიღებული 331 მილ. ფუთი იყო. ეს ნათლათ მოწმობს წყლის ტრანსპორტის გაჯანსაღებას. აგრეთვე გაუმჯობესდა რკინის გზის ტრანსპორტი. ყოველ რკინის გზის ლიანდაგის ათს ვერსზე 1918 წ. პირველ იანვარს იყო 273 მომქმედი ორთქლმავალები, 1918 წ. 1 ნოემბერს 241, 1919 წ. 1 დეკემბერს იყო 87—და 1920 წ. 1 ივლისს იყო 130 მომქმედი ორთქლმავალები. 1920 წ აგვისტოში იყო შეკეთებული 745 ორთქლმავალი, როდესაც დავალება იყო 640. ჩვენ ვიცით აგრეთვე, მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ, როგორ გამრავლდა მომუშავეთა რიცხვი, როგორი სისწრაფით გროვდება ნედლი სამუშაო მასალა და საკვები სურსათი. ვხედავთ როგორ რაციონალურათ არის განაწილებული შრომა სახელმწიფოში და იქმნება უსაჭიროესი ნივთები.

მიუხედავათ თავგამოდებულ შრომისა საბჭოთა სახელმწიფოს არსებულ პირობებში, როდესაც წარმოება მოშლილია და საშინელი შიმშილი მძვინვარებს ვოლგის ნაპირებში, არა აქვს საშუალება სახელმწიფოებრივი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს.

საერთაშორისო პროლეტარიატისაგან საგრძნობ მატერიალურ დახმარებას ვერ მივიღებთ, რადგან იქ კიდევ ბურჟუაზიის ხელშია საწარმოო იარაღები.

საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერება კი გადაუდებელი საქმეა. თუ ეკონომიურათ არ მოღონიერდა პროლეტარული სახელმწიფო, ისე მისი არსებობა ყოვლად შეუძლებელია.

საბჭოთა რუსეთს აუცილებლათ სჭირია თავისი ეკონომიური მდგომარეობის გამაგრებისათვის უამრავი ტეხნიკური საშუალებანი: მატორები, ორთქლმავლები, ვაგონები, გუთნები, სახნისები, ნამგალ-ცელები და კიდევ სხვა ბევრი, რომ შიმშილობა მოისპოს ვოლგისა და სხვა მიდამოებში.

ამავე დროს ევროპას ბევრი დაგროვილი ნაწარმოები აქვს. ბაზარი ვერ უშოვია და ამასთან ნედლი მასალის უქონლობის გამო უმუშევართა რიცხვი გამრავლდა, რაც უქადის პროლეტარულ რევოლიუციის მოახლოვებას.

ევროპის ბურჟუაზიის პირადმა ინტერესმა მოითხოვა უკვე გამაგრებულ საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადება; თავის საქონელს რუსეთში გასავალი მისცეს და თვითონ ნედლი მასალა ჩამოიტანოს, რომ უმუშევართა რიცხვი შეამციროს და მათი უკმაყოფილება ოდნავათ მაინც შეამსუბუქოს.

რუსეთის პროლეტარიატმა ოთხი წლის განმავლობაში სრულიად აღმოფხვრა ფეოდალურ-ბარბაროსული ყოველგვარი ნაშთები, განამტკიცა თავისი ბატონობა. სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის საშუალებით შეუდგა თავისი ეკონომიური მდგომარეობის აღორძინებას. თავისი ახალი ეკონომიური პოლიტიკის საშუალებით საბჭოთა სახელმწიფო ნებას აძლევს უცხო კაპიტალს ყველა იმ ფაბრიკა-ქარხნების და მადაროების დამუშავებისას და ამოქმედებისას, რომელსაც თვითონ თავისი სახელმწიფოებრივი ძალით ვერ შესძლებს. ამით იქმნება ერთის მხრივ სახელმწიფოს მიერ დამუშავებული საქონელი და მეორეს მხრივ კონცესიონერთა და მოიჯარადრეთა მიერ შექმნილი ღირებულებანი. მეორეთა მიერ შექმნილი საქონლის განსაზღვრული ნაწილი სახელმწიფოს ხელისუფლების განკარგულებაში გადადის და მეორე ნაწილიც ისევ სახელმწიფოში დატრიალდება. ამით წარმოებაც აყვავდება და საქონლის რაოდენობაც გამრავლდება. საბჭოთა სახელმწიფო ხელს უწყობს წვრილ წარმოების აყვავებასაც; სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ეხმარება, როგორც სათესლეთი ისე სამეურნეო იარაღებით. ერთი სიტყვით მთელი მუშაობა მიმართულია მსხვილი წარმოების, ამ სოციალიზმის დასაყრდენ საფუძვლის, აღორძინებისაკენ და ამასთანავე წვრილი წარმოების აყვავებისაკენაც. სახელმწიფო აწარმოებს აღრიცხვას შექმნილი ნაწარმოებისა და თვალ-ყურს ადევნებს შინაურ და საგარეო ვაჭრობას.

ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისათვის მიმართულია საბჭოთა მთავრობის ყოველი ნაბიჯები. შედეგები მუშაობისა თანდათან ჩნდება; საბჭოთა სახელმწიფოში სიძვირე კლებულობს; საქონელი მრავლდება, როგორც შინ გაკეთებული ისე ევროპიდან შემოტანილი. ახლა [illegible] საბჭოთა სახელმწიფოთა იურიდიული ცნობა ევროპის სახელმწიფოების მიერ, რაც ნიშნავს რუსეთის სხვადასხვა საქონლით დაფარვას.

უდიდესი მუშაობა არის გაწეული რუსეთში სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში და წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვის შემცირებაში. საილიუსტრაციოთ მოვიყვან ორ მაგალითს: 1) ცენტრალურ რუსეთის 38 გუბერნიაში, 305 მაზრაში (ციმბირი და კავკასია არ შედის) შემდეგი რიცხვი იყო ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოებისა:

ა) ცენტრ. ბიბლიოთეკები	342
ბ) რაიონ. ქალაქის	521
გ) სათემო	4474
დ) მოძრავი	1661
ე) ქოხი სამკითხველოები	14739
დანარჩენები (სასოფლო, საბავშო და სხვადასხვა ორგანიზაციების ბიბლიოთეკები	12243
სულ	33944

2) ,,ცენტროპეჩატის'' ცნობით 1921 წ. დარიგდა 401 მილიონი გაზეთი და 34 მილიონი წიგნები.

1919 წელს სწავლა-განათლების კომისარიატი ხარჯავდა 800 მილიონ მანეთს ოქროთი, მაშინ როდესაც მეფის მთავრობა მშვიდობიანობის დროს, როდესაც ასეთი კრიზისი არ იყო, 280 მილიონ მანეთს ხარჯავდა.

შემოღებულია საყოველთაო უფასო სწავლა; საბავშო ბაღებში და სახლებში ბავშვებს გარდა იმისა, რომ უფასოთ ასწავლიან, ღარიბებს აძლევენ ტანსაცმელს და ყველას კი საჭმელს.

საერთოდ ბავშვების აღზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც კომუნისტური წესწყობილების დამამყარებელთ და ამისათვის დიდ ყურადღებას აქცევენ და შესაფერადაც ზრდიან.

სოციალ-უზრუნველყოფის საქმეს სახელმწიფო განაგებს. აქამდე კერძო ორგანიზაციები და საავადმყოფო-კასები ემსახურებოდნენ, ისიც ავადმყოფობის დროს. მეფის 1912 წლის დადგენილებით მთავრობის 1917 წლის კანონით, შრომის დაზღვევა ხდებოდა მარტო მსხვილი წარმოების მუშებისა; ახლა კი წვრილების, მოსამსახურეთა, სატრანსპორტო წარმოების მუშების, მიწის მუშათა და სხვათა დახმარებაც ხდება. ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთ, მოხუცებულებს და უმუშევართ არავითარი დახმარება არ ეძლეოდა სახელმწიფოს მიერ, ახლა კი ეძლევათ.

ასე ფართოთაა დახმარება მშრომელი მასების ჯანმრთელობის კომისარიატის მიერაც. აფთიაქების ნაციონალიზაციის შემწეობით სპეკულიანტებს წაერთვათ საშუალება წამლებით ვაჭრობისა და სახელმწიფო ეწევა დახმარებას როგორც კერძო ავადმყოფობის დროს ისე ფართო ეპიდემიის დროს.

შრომის პირობების გაუმჯობესება თვით მუშათა ორგანიზაციების, პროფ-კავშირების ხელშია, შრომის კომისარიატთან ერთად.

არ შეიძლება საგანგებოთ მიმოხილვაში ყოველ დარგზე ფართოდ საუბარი. ყოველ შემთხვევაში მკითხველი დაახლოვებით გრძნობს თუ პროლეტარიატი როგორ ბრძოლას და მუშაობას ეწევა საერთოდ ყველა მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

საქართველოს მშრომელი ხალხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის პროლეტარიატის და მშრომელ გლეხობის ბრძოლას და მუშაობას მშრომელთა სახელმწიფოს შენებაში. მის შეცდომებს და ღვაწლს მუშათა ნათლათ გაითვალისწინებს და მით უფრო ადვილათ შესძლებს თავისი საკუთარი შრომის [illegible] განმტკიცებას.

ჯ. ს.

შენ მოფრინდი...

ოქტომბრის გადატრიალების 4 წ. შესრულების გამო.

შენ მოფრინდი ცეცხლის ფრთებით იმ დროს, როცა ღამის მცველი
შრომის შვილებს სისხლს აცლიდა... ტრიალებდა შხამის ცელი;
მოფრინდი და გადმოგვეცი ძლევის დროშა სხივ მფინარე,
მებრძოლთა წყება გაამხნევე ზღვის ტალღივით მომღიმარე...
თან გვითხარი ბრძოლის ცეცხლში თქვენ დაამტვრევთ ჯაჭვ-ბორკილებს
არ დაინდოთ ვინც, რომ თქვენზე დღე და ღამე ლესდა კბილებს!..
ეს იყო და აღსდგა ხალხი, ხელთ აიღო თოფი, ხმალი,
არავისთან აღარ ჰქონდა საალერსო, დასამალი..
შენ წყვდიადით მოცულ მხარეს ცეცხლის სიტყვით წამს მოედო,
და თავს უთხრა: შენი ბედი შენვე უნდა გამოსჭედო!..

შეკრთა მთები... ბრძოლის ხმამა ტყვიის ზუზუნს შეეფარდა,
ზარბაზანი ამეტყველდა, ახმაურდა ბარიკადა,..
ახმაურდა არე-მარეც, აგიზგიზდა ცეცხლის ალი,—
და ამავე სტიქიონში იცინოდა მომავალი...
რომ სამყაროს განაწამებს ეცლებოდა შავი რიდე,
და სიმართლის ხმა ძლიერი გაისმოდა კიდით კიდე!..
შენ მოფრინდი ცეცხლის ფრთებით იმ დროს, როცა ღამის მცველი
შრომის შვილებს სისხლს აცლიდა... ტრიალებდა შხამის ცელი:
მოფრინდი და გადმოგვეცი ძლევის დროშა შრომის შვილებს,
ჭირ-ვარამში განაწამებს, ბრძოლის ცეცხლში გამოწრთობილებს!..

იონა ვაკელი

რედაქტორი— ს. [illegible]

[illegible]